ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: რელიგიის კვლევები

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**რელიგიის კვლევები** **Religious Studies**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**რელიგიის კვლევების მაგისტრი** **Master of Religious Studies**
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი	სოფიკო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2015 წელს. და განახლებულია 2022 წელს. მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ზეპირი) საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდასთან (ზეპირი) დაკავშირებული მოთხოვნები თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში ,,სწავლა".
პროგრამაზე ჩაბარებისას კანდიდატს მოპოვებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

პროგრამის მიზნები

რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა ემსახურება რელიგიის საკითხების აკადემიურ შესწავლას. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს კონკურენტუნარიანი დარგის სპეციალისტი და მისცეს მას სისტემური ცოდნა რელიგიის, როგორც კომპლექსური საზოგადოებრივი ფენომენის შესახებ; შეასწავლოს რელიგიური შეხედულებებისა და პრაქტიკის მრავალფეროვნება; აღჭურვოს იგი რელიგიის კვლევების თანამედროვე, აქტუალური საკითხების დამოუკიდებელი კვლევის უნარით.

პროგრამის ფოკუსია აბრაამული რელიგიური ტრადიციების, ტექსტების, თეოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლა, აგრეთვე, რელიგიის საზოგადოების სხვადასხვა სფეროსთან ურთიერთქმედების და მისი რეპრეზენტაციის შესწავლა. რელიგიის აკადემიური კვლევა მიზნად ისახავს რელიგიის როგორც ადამიანთა ცხოვრების, საზოგადოების და კულტურათა მრავალფეროვნების მნიშნელოვანი ფაქტორის აკადემიურ კვლევას. ამისათვის რელიგიის შესწავლა მოიცავს ამ ფენომენის სხვადასხვა მეთოდოლოგიით შესწავლას. რელიგიის კვლევების აკადემიური დისციპლინის მთავარი თეორიების, კონცეფციების, ასევე რელიგიური ტრადიციების, თეოლოგიური საკითხების მრავალფეროვნების შესწავლით სტუდენტი შეძლებს იფიქროს ეგზისტენციალურ, ეთიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე. ამით ის შეძლებს

გაანალიზოს რელიგიის როგორც ისტორიული ისე თანამედროვე საკითხები კონტექსტუალურად და კრიტიკულად.

სწავლის შედეგები

<u>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:</u>

1. ავლენს რელიგიის და რელიგიურობის ძირითადი და უახლესი კონცეფციების, პარადიგმების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
2. ავლენს თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების და მათი ისტორიული, კულტურული და სოციალური ასპექტების კომპლექსურ ცოდნას;
3. შეუძლია რელიგიის კვლევების ჭრილში რელიგიების ისტორიის, რელიგიური ტექსტების კრიტიკული ანალიზი და მათი ინტერდისციპლინური მიდგომებით შესწავლა და ინტერპრეტაცია;
4. ავლენს სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების (ქრისტიანობა - (პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა), ისლამი, იუდაიზმი) - აქტუალური თეოლოგიური საკითხების ღრმა ცოდნას და შეუძლია მათი თანამედროვე კონტექსტში ინტერპრეტაცია ;
5. ავლენს რელიგიის თემაზე აქტუალური სამეცნიერო და საზოგადოებრივი დისკურსის ცოდნას;
6. შეუძლია რელიგიის კვლევების სფეროში არსებული პრობლემატიკის იდენტიფიცირება, მისი შესწავლისთვის კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
7. შეუძლია კომპეტენტურად და დამაჯერებლად საკუთარი მოსაზრებების, არგუმენტებისა და დასკვნების/კვლევის შედეგების კომუნიკაცია, წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც აკადემიური, ისე ფართო საზოგადოების წინაშე, თანამედროვე საინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებით;
8. შეუძლია იმოქმედოს ავტონომიურად სწავლის და კვლევის პროცესში და გამოავლინოს საკუთარი მეცნიერული ხედვა და დამოკიდებულება.

პროგრამის სტრუქტურა

რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი შემდეგი სქემის მიხედვით:

- პროგრამის **სავალდებულო** კურსები - **36 კრედიტი**
- პროგრამის **სავალდებულო-არჩევითი** კურსები - მინუმუმ **42 კრედიტი**
- ***თავისუფალი არჩევის*** წესით - *მაქსიმუმ **12 კრედიტი*** (სტუდენტს შეუძლია მაქსიმუმ 12 კრედიტი დააგროვოს როგორც რელიგიის კვლევების პროგრამის სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსებიდან, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან. აღნიშნულისთვის რეკომენდირებულია შემდეგი სამაგისტრო პროგრამები: შუა საუკუნეების კვლევები, ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება.).
- **სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი** .

სწავლების მეთოდები

- ლექცია/სემინარი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- დისკუსია/დებატები;

- რეფლექსია;
- ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები;
- შემთხვევის ანალიზი (case study);
- ანალიზი და სინთეზი;
- სუპერვიზია და სხვა.

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები და შესაბამისი კრიტერიუმები მითითებულია თითოეული კურსის სილაბუსში.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- საჯარო სამსახურები და არასამთავრობო ორგანიზაციები (საჯარო პოლიტიკის კვლევის ან ანალიზის მიმართულებით);
- დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ მულტიკულურულ, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების საკითხვებზე;
- უმღლესი საგანმანათლებო დაწესებულებები;
- შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, პროექტები;
- ტელე-მედია და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

პროგრამის კურსდამთავრებულმა სწავლა შეიძლება გააგრძელოს სადოქტორო საფეხურზე.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

<u>სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს:</u>

- არგუსი, Elearning და Turnitin-ის სისტემები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის ელექტორნული ბაზები);
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- სამეცნიერო ინსტიტუტები და კვლევითი ცენტრები:
  - ❖ სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
  - ❖ კულტურისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტი;

- ❖ ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
- ❖ გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.

	სამაგისტრო პროგრამა: რელიგიის კვლევები						
	კურსის დასახელება	კურსის სტატუსი	ლექტორი/სტატუსი	კრედიტი	საკონტ. საათი	სემესტრი შემოდგომა/გაზაფხული	
პროგრამის სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი							
1.	აკადემიური წერა	სავალდებულო	მაია როგავა (პროფესორი)	6	30	X	
2.	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	სავალდებულო	მარიამ დალაქიშვილი (ასისტენტ პროფესორი); ნინო რჩეულიშვილი (ასისტენტ პროფესორი)	6	30	X	
3.	რელიგიის კვლევების აქტუალური თეორიები და კვლევები - რელიგია საზოგადოებაში, პოლიტიკასა და ყოველდღიურობაში I	სავალდებულო	სოფიკო ზვიადაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	32	X	
4.	როგორ ვიკვლიოთ რელიგია - რელიგია	სავალდებულო	სოფიკო ზვიადაძე	6	30		X

	საზოგადოებაში, პოლიტიკასა და ყოველდღიურობაში II		(ასოცირებული პროფესორი)				
5.	შედარებითი ქრისტიანული თეოლოგია აღმოსავლეთსა და დასავლეთში	სავალდებულო	თამარ გრძელიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30		X
6.	იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის საკვანძო, საკრალური ტექსტების კრიტიკული ანალიზი	სავალდებულო	მალხაზ სონღულაშვილი (პროფესორი)	6	30	X	
პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები - მინიმუმ 42 კრედიტი							
1.	კანონიკური სამართალი	სავალდებულო-არჩევითი	ვლადიმერ ნარსია (მოწვეული ლექტორი)	6	30	X	X
2.	რელიგიის თეორია და კვლევა - ანთროპოლოგიური პერსპექტივა	სავალდებულო-არჩევითი	ქეთევან გურჩიანი (პროფესორი)	6	35		X
3.	პოლიტიკის რელიგიური განზომილება	სავალდებულო-არჩევითი	სოფიკო ზვიადაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	32	X	X
4.	თანამედროვე რელიგიური ეთიკის გამოწვევები I: მონოთეისტური ტრადიციები - იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი	სავალდებულო-არჩევითი	მალხაზ სონღულაშვილი (პროფესორი)	6	30	X	
5.	თანამედროვე რელიგიური ეთიკის გამოწვევები II: მსოფლიო რელიგიები - ბუდიზმი და ინდუიზმი	სავალდებულო-არჩევითი	მალხაზ სონღულაშვილი (პროფესორი)	6	32		X
6.	ისლამი და სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში	სავალდებულო-არჩევითი	გიორგი სანიკიძე (პროფესორი)	6	32		X

7.	კანონიკური და აპოკრიფული ახალი აღთქმების შედარებითი კვლევები	სავალდებულო-არჩევითი	მალხაზ სონღულაშვილი (პროფესორი)	6	32	X	X
8.	რიტუალი, რიტუალის ცვლილება და ცვლადი რიტუალები კულტურაში (რიტუალის თეორია და პრაქტიკა)	სავალდებულო-არჩევითი	ნინო აბაკელია (ემერიტუსი პროფესორი)	6	30		X
9.	ქალთა ხელდასხმა ქრისტიანულ ტრადიციაში	სავალდებულო-არჩევითი	რუსუდან გოცირიძე (მოწვეული ლექტორი)	6	30		X
10.	რელიგიის თავისუფლება და სეკულარიზმი	სავალდებულო-არჩევითი	თამთა მიქელაძე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
11.	რელიგია, გენდერი და სექსუალობა	სავალდებულო-არჩევითი	ელენე გავაშელიშვილი (ასისტენტ-პროფესორი	6	30	x	
12.	რელიგიის სოციოლოგია	სავალდებულო-არჩევითი	ემზარ ჯგერენაია (პროფესირი)	6	30		X
13.	ადრინდელი ქრისტიანული თეოლოგიისა და ლიტურგიკული პრაქტიკის ევოლუცია	სავალდებულო-არჩევითი	მალხაზ სონღულაშვილი (პროფესორი)	6	30	X	X
14.	რელიგიის ადგილი და საზღვრები კლასიკურ და პოსტკლასიკურ ევროპულ ფილოსოფიაში (კანტი, ჰეგელი, ფოიერბახი, მარქსი, კირკეგორი)	სავალდებულო-არჩევითი	ლუკა ნახუცრიშვილი (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
15.	რელიგიის ფსიქოლოგია	სავალდებულო-არჩევითი	ირინა ვარდანაშვილი (ასისტენტ-პროფესორი)	6	30	X	
16.	ქრისტიანული სოციალური ეთიკა (მართლმადიდებლური, კათოლიკური და ევანგელური ეკლესიის ხედვები)	სავალდებულო-არჩევითი	შოთა კინწურაშვილი (მოწვეული ლექტორი)	6	32	X	

17.	ქრისტიანული თეოლოგიის და რელიგიური მეხსიერების საკითხები საქართველოში	სავალდებულო-არჩევითი	მირიან გამრეკელაშვილი(მოწვეული ლექტორი)	6	32	X	
18.	ბიზანტიური სამონასტრო ტრადიცია (ისტორია და თანამედროვეობა)	სავალდებულო-არჩევითი	ეკა ჭყოიძე, (ასოცირებული პროფესორი)	6	32	X	
19.	ქრისტიანული დიალოგი და ეკლესიათა შორის ურთიერთობა - განსხვავება და მრავალფეროვნება	სავალდებულო-არჩევითი	თამარ გრძელიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	32	X	
20.	ადამიანის უფლებები და ქრისტიანული ტრადიცი(ები)ა (ENG)	სავალდებულო-არჩევითი	თამარ გრძელიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	32	X	X
21.	შებრუნებული პერსპექტივის თეოლოგია	სავალდებულო-არჩევითი	ბექა მინდიაშვილი (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	
22.	რელიგიის კულტურა - ები ვარბურგი და სურათ-ხატი (ENG)	სავალდებულო-არჩევითი	მარტინ ტრემლი (პროფესორი)	6	32	X	
23.	ქრისტიანული ერთობა: საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტების თარგმნა ქართულ ენაზე და მათი შესაბამისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური წყაროები	სავალდებულო-არჩევითი	თამარ გრძელიძე (ასოცირებული პროფესორი)	6	32		x
24.	რელიგიის ფილოსოფია: ისტორიული პერსპექტივა	სავალდებულო-არჩევითი	გიგა ზედანია (პროფესორი)	6	32	x	
არჩევითი კურსები - 12 კრედიტი							
1.	რელიგია და ძალაუფლება: კლასიკური წარმოდგენების ევოლუცია	არჩევითი	გიორგი ნოდია (პროფესორი)	6	32	X	X
3.	პოლიტიკური თეოლოგია	არჩევითი	გიორგი მაისურაძე (პროფესორი)	6	30	X	X
4.	,,ხელოვნების რელიგია“. ესთეტიურისა და	არჩევითი	ლუკა ნახუცრიშვილი	6	32	X	X

	საკრალურის ურთიერთმიმართების პრობლემა გერმანული ხელოვნების თეორიაში		(ასოცირებული პროფესორი)				
5.	ისლამის ისტორია, პოლიტიკა, კულტურა (ENG)	არჩევითი	ტილმან კულკე (ასოცირებული პროფესორი)	6	30	X	X
სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი							
1.	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო		30			X